პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 18 (12530) | სამშაბათი, 22 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ

ცხოვრების გულში

ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი დიდებულ დღეებს განიცდის: საბჭოთა ადამიანების მიერ ახალი შემართებით დაწყებული ახალი წელი ფრთებს შლის — გმირული შრომითი საქმეებით მკვიდრდება საბჭოთა ქვეყნის ისტორიის მატიანეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა) არსებითად სრულიად ახალი, ხელსაყრელი პირობები შექმნეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი განვითარებისათვის. პლენუმის გადაწყვეტილებებმა უაღრესად ფართო შესაძლებლობანი მისცეს პარტიულ მუშაობას მის ყველა ჯაჭვში. ეს დიდი მნიშვნელობის გარდაქმნები, რომლებიც პარტიამ განახორციელა, ლოგიკურად გულისხმობენ მშრომელთა ფართო მასების იდეური აღზრდის, პოლიტიკური განათლების საქმეში პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებას.

და რამდენადაც წინ მივდივართ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების გზაზე, მით უფრო იზრდება მშრომელთა აღზრდის ყველა ფორმისა და საშუალების სრულყოფის ამოცანა. ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა და სამრეწველო-საწარმოო ზონების პარტიული კონფერენციები, რითაც რესპუბლიკაში დამთავრდა პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნა. კონფერენციებზე დელეგატები თავიანთ გამოსვლებში დიდ ადგილს უთმობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების შესწავლის მნიშვნელობას, რომ პოლიტიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობა გახდეს უფრო კონკრეტული და მიზანსწრაფული, გაძლიერდეს პოლიტიკური სწავლების კავშირი იმ ამოცანებთან, რომლებიც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე დგას.

აწყობამდ პოლიტიკური განათლების სისტემაში მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალების შესწავლა. პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნას პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლსა და ადგილზე ორგანიზაციის ფუნქციებზე. ეს ორგანიზაციები ამ ფუნქციებს ასრულებენ, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ითვალისწინებენ ადამიანთა ცხოვრებისადმი ყურადღებიანობას, ადამიანთა ინტერესებისადმი ყურადღებიანობას, ადამიანთა ინტერესებისადმი ყურადღებიანობას, ადამიანთა ინტერესებისადმი ყურადღებიანობას.

ამ დღეებში პარტიის სოხუმის ქალაქკომმა შეისწავლა სოხუმის ავტოსატრანსპორტო კანტორის პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი ა. არუთინიანი) სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალების შესწავლის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ აქ წრეების მეცადინეობა მიმდინარეობდა დაბალ იდეურ დონეზე, იყო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები. წრეების პროპაგანდისტები ბ. ყოროვინი, ლ. ხუციშვილი და ნ. ნაცვლიშვილი 7 იანვარს თვითონ არ გამოცხადდნენ წრის მეცადინეობაზე! სავსებით სწორად მოიქცა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურო, მკაცრად რომ დასჯა ასეთი პროპაგანდისტები.

ცხადია, ასეთ მოვლენებს არ უნდა შეეფერებოდეთ. პროპაგანდისტი პოლიტიკური განათლების სისტემაში ძირითადი ფიგურაა. ამიტომაც გულდასმით უნდა შეკარჩიოთ პროპაგანდისტთა კადრები. ვიზრუნოთ მათი დახელოვნებისათვის და თანმიმდევრულად ვზარდოთ ჩვენი პარტიის იდეური ჯარისკაცები.

პოლიტიკური განათლება უნდა ეწყობოდეს იმ მაღალი მოთხოვნების დონეზე, რომლებსაც იდეოლოგიურ მუშაობას, პოლიტიკურ განათლებას უყენებენ პარტიის XXII ყრილობა, სკკპ პროგრამა. ახლა ადგილებზე იდეოლოგიური მუშაობის მაღალი დონე, მისი ცხოვრებასთან დაკავშირება ისე, რომ იდეოლოგიურმა მუშაობამ ხელი შეუწყოს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობას, დიდად არის დამოკიდებული ემაზე, თუ აქედანვე როგორ წარმართავენ თავიანთ მუშაობას ახლად არჩეული პარტიული კომიტეტები, პარტიული კომიტეტების მდივნების მოადგილეები იდეოლოგიურ დარგში.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჩვენი პარტიის საფუძველია. პარტიული მუშაობის სტრუქტურის გარდაქმნა კი არ ამცირებს პირველადი პარტიული ორგანიზაციის როლსა და პასუხისმგებლობას როგორც სამეურნეო, ისე იდეოლოგიურ მუშაობაში, არამედ. პირიქით ყოველმხრივ ზრდის მის პასუხისმგებლობას. ამიტომაც პირველადი პარტიული ორგანიზაციების ვალია ახლებურად გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა და ისე მოაწყონ იდეოლოგიური მუშაობა, რომ მან გამოიწვიოს არა მარტო კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლის ამაღლება, არამედ მთელი მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა უსწრაფესად განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტების ყოველმხრივ და ღრმა შესწავლას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემდგომი განვითარების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებას ხელს შეუწყობს ეკონომიური კონფერენციების მოწყობა.

სავსებით გასაგები უნდა იყოს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების შესწავლა არ შეიძლება მივიჩნიოთ კამპანიურ საქმედ. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ლექტორების, პოლიტიკური მომზსენებლების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რომ მათ შემდგომშიც თავიანთ ლექციებში, მოხსენებებში, საუბრებში ღრმად განმარტონ პლენუმის გადაწყვეტილებათა დიდი მნიშვნელობა — ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ამაღლების საქმეში.

რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და სარაიონთაშორისო გაზეთების ამოცანაა, უფრო ცოცხლად, საინტერესოდ გააშუქონ თავიანთ ფურცლებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების შესწავლის მიმდინარეობა, გაბედულად აშსლონ ნაკლოვანებანი ცალეული პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, დაეხმარონ პროპაგანდისტებს, კონსულტანტებს, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს კვალიფიციური თეორიული და მეთოდური სახიათის სტატიებით და სხვ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევურიგდეთ ისეთ ფაქტს, როცა პრესის ფურცლებზე პოლიტიკური განთლების ქსელისადმი ყურადღება იგრძნობა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისსა და დასასრულს. პარტიული პროპაგანდა, მთელი იდეოლოგიური მუშაობა მუდამ უნდა იყოს ჩვენი პრესის ზრუნვის საგანი.

რაიონების გამსხვილებასთან, პარტიული ორგანიზაციების საწარმოო პრინციპზე აგებასთან დაკავშირებით ერთიორად გაიზარდა პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების როლი. ისინი მოვალენი არიან უზრუნველყონ კვალიფიციური დახმარება პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის ადგილებზე პარტიული პროპაგანდის ორგანიზაციასა და ჩატარებაში. ეწეოდნენ მეთოდურ მუშაობას და საზოგადოებრივ საწყისებზე მოიზიდონ პროპაგანდისტთა კადრები.

პარტიის საოლქო, საქალაქო, სამრეწველო-საწარმო ზონებისა და საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტებს, პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კიდევ უფრო გააძლიერონ იდეოლოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და აიყვანონ იგი ჩვენი დიდი ამოცანების მოთხოვნათა დონეზე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ფ. სარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ამხ. **ივანე ფაუსტინიძე სარიშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

ქ. თბილისი, 1963 წლის 18 იანვარი.

ქიმიური ინდუსტრიის მეშენებელთა ძვირფასი თაოსნობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1963 წლის 19 იანვრის დადგენილება

კომბინატ „ლუგანსკქიმმშენისა“ და უკრაინის სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სევეროდონეცკის ორგანიზაციების მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა მოუწოდეს მშენებელთა და მემონტაჟეთა ყველა კოლექტივს, რომლებიც დიდი ქიმიის საწარმოთა მშენებლობას ახორციელებენ, გაშალონ შეჯიბრება იმისათვის, რომ ვადაზე ადრე აამოქმედონ ქიმიური მრეწველობის ახალი სიმძლავრეები 1963 წელს.

ამ კომბინატისა და სამონტაჟო ორგანიზაციათა კოლექტივმა იკისრა სოციალისტური ვალდებულება, რომ ვადაზე ადრე აამოქმედებენ 1963 წელს ყველა ასამუშავებელ ობიექტს ლისიჩანსკისა და რუბეჟნოეს ქიმიურ კომბინატებსა და დონეცკის სოდის ქარხანაში. გადაწყდა გაეუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია, გამოიყენონ მექანიზაციის საშუალებანი, ფართოდ გამოიყენონ ასაწყობი კონსტრუქციები და გაადიდონ მათი წარმოების მოცულობა, ასწავლონ კადრებს და გაზარდონ მათი ოსტატობა და ამ გზით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება სულ ცოტა 16 პროცენტით 1962 წლის დონესთან შედარებით, მიაღწიონ იმას, რომ ცვლის დავალებანი გადაჭარბებით შეასრულოს თვითეულმა მშენებლობამ, უბანმა, ბრიგადამ, თვითეულმა მუშამ.

ამ თაოსნობას, როგორც ხალხის ინიციატივის გამოვლინებას, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ შესრულდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ, მხარი დაუჭირეს და მოიწონეს ვორონეჟისა და ომსკის სინთეზური კაუჩუკის ქარხნების, ვოსკრესენსკისა და სუმგაითის კომბინატების, ომსკის სალტისა და კონსტანტინოვკის ქიმიური ქარხნების სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივებმა, რომლებიც მხურვალედ

კომბინატ „ლუგანსკქიმმშენის“ კოლექტივისა და უკრაინის სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სევეროდონეცკის ორგანიზაციების ინიციატივის შესახებ, რომ გაიფალოს სოციალისტური შეჯიბრება ქიმიური მრეწველობის ახალ სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისათვის

გამოეხმაურნენ ლუგანსკელთა მოწოდებას და აგრეთვე იკისრეს ვალდებულებანი, რომ ვადამდე აამოქმედებენ ასამუშავებელ ობიექტებს თავიანთ მშენებლობებზე.

ახალ ქიმიურ საწარმოთა ვადამდე ამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და ხალხის მატერიალური დონის ამაღლებისათვის. მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და მშენებლობა დამატებით მიიღებენ დიდძალ ნედლეულს, მასალასა და სასუქს, რის შედეგად გაფართოვდება შემსუბუქებული ტიპის მანქანების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, გაიზრდება სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაუმჯობესდება მშენებლობის ხარისხი და შემცირდება მისი ვადები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო ადგენენ:

1. მოწონებულ იქნეს კომბინატ „ლუგანსკქიმმშენის“ კოლექტივისა და უკრაინის სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სევეროდონეცკის ორგანიზაციათა ინიციატივა, რომელებმაც მოუწოდეს მშრომელებს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ქიმიური მრეწველობის ახალ სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისათვის.

2. რჩევა მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობის სამხარეო, საოლქო და საქალაქო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს:

ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ამ თაოსნობას და გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ქიმიური მრეწველობის მშენებლობებზე ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისათვის, სამრეწველო საწარმოებში — ქიმიური ობიექტების მოწყობილობისა და მასალების დაჩქარებული გამოშვებისათვის და საპროექტო ორგანიზაციებში — ტექნიკური დოკუმენტაციის ვადამდე და კარგი ხარისხით დამუშავებისათვის.

საჭირო დახმარება გაუწიონ ამ მოძრაობას, მოაწყონ შეჯიბრების მსვლელობის მუდმივი და ფართო გაშუქება პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, განაზოგადონ და გაავრცელონ მოწინავე მშენებლობათა და საწარმოთა გამოცდილება, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები მხარს დაუჭერენ კომბინატ „ლუგანსკქიმმშენის“ კოლექტივისა და უკრაინის სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სევეროდონეცკის ორგანიზაციების მოწოდებას, უზრუნველყოფენ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებას და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ქიმიური პროდუქციის წარმოების დაჩქარებული აღმავლობისათვის ბრძოლის საერთო სახალხო საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საკავშირო პროფსაბჭო

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ფ. სარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბრიგადის ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ამხ. **ივანე ფაუსტინიძე სარიშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

ქ. თბილისი, 1963 წლის 18 იანვარი.

კარგი თესლი სიუხვის დედაა

Ყველასათვის ცნობილია, რომ უხვი მოსავლისათვის ბრძოლა თესლის მომზადებით იწყება. მაღალხარისხოვანი, ჯიშიანი თესლი კი წარმატების უტყუარი გარანტიაა. სწორედ ასეთი თესლის გამოყენა აკისრია „საქბოსტანჯისთესლის“ კანტორას.

შეიდწლედის მეხუთე წლის გაზაფხულისათვის მზადება კარგა ხანია დავიწყეთ. ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების თესლის დამზადების წლიური გეგმა 100,8 პროცენტით არის შესრულებული. ნაცვლად 3.085 ცენტნერისა დამზადებულია 3.109 ცენტნერი თესლი.

მართალია, თესლის დამზადების გეგმა შევასრულეთ, მაგრამ, ცალკეული კულტურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გვაქვს ნაკლი. მაგალითად, ჩვენ ვერ უზრუნველვყავით ლობიოს თესლის დამზადების გეგმის შესრულება. ასევე ითქმის პამიდორის, ბადრიჯნის, სუფრის ჭარხლის და საკვები ჭარხლის თესლის დამზადებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შარშან აღმოსავლეთ საქართველოში თესლის დამზადებისათვის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო ზეტი ინიციატივა და ოპერატიულობა რომ გამოგვეჩინა, წარმატებით დავძლევდით სიძნელეებს.

ბოსტნეული კულტურების თესლის დამზადების გეგმის შესრულებას საგრძნობლად უშლის ხელს ის გარემოება, რომ ზოგჯერ თვით მეურნეობათა ხელმძღვანელები თავს არიდებენ „საქბოსტანჯიმთესლის“ კანტორისათვის თესლის ჩაბარებას. ეს პირველ რიგში ითქმის ლობიოს თესლზე. ხელშეკრულებით შარშან დუშეთის საწარმოო სამმართველოს ძალისის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. ლიპარტელიანი) ჩვენთვის უნდა ჩაებარებინა ცანავას ჯიშის ლობიოს თესლი 50 ცენტნერი. ფაქტიურად დღემდე ამ კოლმეურნეობას არცერთი კილოგრამი ლობიო არ ჩაუბარებია.

ასევე გაუმართლებელი მიზეზებით არ ჩაუბარებია ბოსტნეული კულტურების თესლი ამავე საწარმოო სამმართველოს მუხრანის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე შ. ავანაშვილი). წლობით ამ სოფელში გამოყავდათ „მუხრანული“ კიტრის თესლი. სამწუხაროა, რომ ეს ორი წელია, რაც ამ ჯიშის კიტრის თესლის დამზადებაზე მუხრანელი ხელმძღვანელები თავს არ იწუხებენ. მუხრანელებს, არც ნატახტრელები „ჩამორჩნენ“. მათ ვერ შეასრულეს ბოსტნეული კულტურების თესლის დამზადების გეგმები.

სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ბოლნისის საწარმოო სამმართველოს არახლოს მებოსტნეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ (დირექტორი გ. დოლიძე). აქ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერი ლობიოს თესლისა „საქბოსტანჯიმთესლის“ კანტორას მხოლოდ 2.4 ცენტნერი ჩააბარეს, ხახვის თესლი კი ნაცვლად 7 ცენტნერისა — 2.7 ცენტნერი.

მარნეულის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ვ. ქათამაძე) ჯეროვანი ყურადღებით არ მოეკიდა თესლის წარმოებისა და დამზადების დიდმნიშვნელოვან საქმეს. მეურნეობას გეგმით გათვალისწინებული 36,4 ცენტნერიდან არაფერი არ ჩაუბარებია ამ საქმეში დაუდეგრობა გამოიჩინა აგრეთვე „საქბოსტანჯიმთესლის“ უბნის აგრონომმა ხ. მელქუმიანმაც.

იმის გამო, რომ ზოგიერთი ძირითადი კულტურის თესლის დამზადების გეგმა ვერ შევასრულეთ, ხოლო მოთხოვნილება დიდია, იძულებული ვიყავით თესლი შემოგვეტანა სხვა რესპუბლიკებიდან.

ახლა მთავარია დროულად მიიღონ თესლი კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მოამზადონ ნიადაგი თესვისათვის და აგროტექნიკის სრული დაცვით ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა.

ამით უზრუნველვყოფთ მიმდინარე წელს ბოსტნეულის უხვი მოსავლის მიღებას და საპატიო წვლილის შეტანას ქალაქებისა და სოფლების ბოსტნეულით მომარაგებაში.

მ. ალავერდაშვილი,
„საქბოსტანჯიშთესლის“ კანტორის მმართველი.

ლიახვის ფერდოგეგზე

ჯავა. (საკ. კორ.). ჯავის გზატკეცილზე მიმავალი ადვილად შეამჩნევს ლიახვის მარცხენა ფერდობებზე აბრნეულ ჯეჯილებს. ეს სოფელ ქემერტის კოლმეურნეობის სიმდიდრეა. გამოჯე კოლმეურნეებმა შემოგვიმოთ აგროტექნიკურ ეკიდები დაამთავრეს ხორბლის თესვა. გაუშენეს 60 ჰექტარი ხილის ბაღი.

— ახლა რას აკეთებთ?

ასეთი კითხვა მიეცეთ კოლმეურნეობის ბრიგადირს ა. გოგიძეს, რომელიც კოლმეურნეობის მინდვრებში შეგვხვედა სასუქის გატანის დროს.

— ხორციელ ახლა ეყრება საფუძველი უხვ მოსავალს, — გვიპასუხა მან. ამიტომ კოლმეურნეები ბეჯითად შრომობენ. სასუქს ზიდავენ მინდვრებში, ბაღებსახვნებში, სპბოსტნე ფართობებში.

ქემერტის მინდვრები ძველთაგანვე ცნობილია იყო. ძნელად ხორბალი და ვაზი ხარობდა. ახლა დიდი ლიახვის ნაპირზე დიდგა სარწყავი წყლის საქაჩავი სადგური. სწორედ სარწყავმა წყალმა გაბედვინა ქემერტელები ხეხილის ბაღის გაშენება და ბოსტნეულის ნათესების გადიდება. წელს პირველად მოირწყვეს ქემერტელთა მადლიანი მიწა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოდეს მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ კესარელი მიხეილ ილიკოს-ძე — ჭიათურის რაიასამხმარმარგლო კავშირის ნავთობის საწყობის გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი.

1963 წლის 18 იანვარი.

□ □

— **ხალხო,** ვინ არის ეს კაცი, რომ ბაგაგა, შეხედეთ, რას შვრება? — ყვიროდა ვიღაც და ახალგაზრდა კაცზე მიუთითებდა, რომელიც ალმოდებული ცისტერნისაკენ მირბოდა და თან გზადაგზა პალტოს იხდიდა.

— მოიცა, კაცო, ეს მიხეილ კესარელი არ არის, ჩვენთან ნავთობის საწყობის გამგედ რომ მუშაობს?

— ის უნდა იყოს.

პმასობაში კესარელი უკვე ცისტერნასთან იყო. ერთბაშად ყველამ, ვინც ამ სურათს უყურებდა, ხმა გაკმინდა. კესარელმა ცეცხლს პალტო დაუფარა.

ხალხმა შვებით ამოისუნთქა — ალი მაშინვე ჩაქრა.

საფრთხემ რომ გაიარა, დამსწრენი მხოლოდ მაშინ მოვიდნენ გონს: ცისტერნი რომ აფეთქებულიყო, ერთი კი არა, იქნებ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა, განადგურდებოდა ქონება.

კესარელმა კი ეს უმალვე მოისაზრა და გაითვალისწინა. მისმა გაბედულმა და მამაცურმა მოქმედებამ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

ამიტომ იყო, რომ მიხეილ კესარელის მოქმედება სათანადოდაც იქნა შეფასებული. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი დაჯილდოვა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“.

მ. ნუკრიძე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

**ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოდეს მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ ეროების ორგანიზაციის ჯარები შევიდნენ ქალაქ კოლეზეზონი, რომელიც ჩოჩბეს უკანასკნელი დასაყრდენია კატანგაში

წერილების გაცვლა

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჯ. კენედის შორის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხზე. ნ. ს. ხრუშჩოვის 1962 წლის 19 დეკემბრის წერილში მოყვანილია საბჭოთა მთავრობის შეხედულებანი ამ პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრის შესაძლო გზებზე, რომლებიც მისაღები იქნება ორივე მხარისათვის.

„მე ვფიქრობ, ბ-ნო პრეზიდენტო, — წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ ახლა დადგა დრო ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო, საბოლოოდ აღიკვეთოს ატომური იარაღის გამოცდები. მომენტი ამისათვის მეტად შესაფერისია“.

ამასთან დაკავშირებით ხაზგასმულია, რომ განვლილია კარიბის აუზის ყველაზე მწველავ და დაძაბული პერიოდი და ახლა შეგვიძლია უშუალოდ მოკავშირეთ ხელი სხვა გადაუდებელ საერთაშორისო საქმეებს, და კერძოდ ისეთ დიდი ხანია მომწიფებულ პრობლემას, როგორიც არის ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტა.

ჩვენ ვადგავართ ერთნაირ პოზიციებს იმ მხრივ, რომ კოსმოსში, ატმოსფეროში და წყალქვეშ საცდელ ატომურ აფეთქებათა აკრძალვისადმი კონტროლისათვის საკმარისია აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი, სწერს საბჭოთა მთავრობის მეთაური ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. მაგრამ დღემდე ვერ გამოვნახეთ მიწისქვეშა გამოცდების შეწყვეტის პრობლემის ურთიერთმისაღები გადაჭრა.

შეთანხმებას ძირითადად აბრკოლებს ამერიკის მხარის მოთხოვნა, რომ მიწისქვეშა ატომური გამოცდების შეწყვეტისადმი საერთაშორისო კონტროლი და ინსპექცია დაწესდეს ატომური სახელმწიფოების ტერიტორიებზე.

საბჭოთა კავშირი ცდილობს გამონახოს ურთიერთმისაღები საფუძველი შეთანხმებისათვის და უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა დასავლეთის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად — დათანხმდა, რომ დაიდგას ავტომატური სეისმური სადგურები როგორც ატომურ სახელმწიფოთა საზღვრების მახლობლად, ისე უშუალოდ მათს ტერიტორიებზე. საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ თანახმაა დაიდგას სამი ასეთი სადგური საბჭოთა ტერიტორიაზე. ზონებში, სადაც ყველაზე ხშირია მიწისძვრები.

საბჭოთა მეცნიერების აზრით, საბჭოთა კავშირში ავტომატური სეისმური სადგურების განლაგებისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილებია ქალაქ კოქჩეტავის რაიონი სსრ კავშირის შუა აზიის ზონისათვის, ქალაქ ბოდაიბოს რაიონი ალტაის ზონისათვის და ქალაქ იაკუტსკის რაიონი შორეული აღმოსავლეთის ზონისათვის.

მაგრამ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ განხილულ იქნეს წინადადებანი ავტომატური სეისმური სადგურების განლაგების სხვა ადგილების შესახებ ამ ზონებში.

საერთაშორისო ცენტრიდან და საერთაშორისო ცენტრში შესაბამისი დალუქული აპარატურის მიტანა, რათა პერიოდულად შეიცვალოს იგი სსრ კავშირის ავტომატურ სეისმურ სადგურებში, სავსებით შეუძლია განახორციელოს საბჭოთა პერსონალმა საბჭოთა თვითმფრინავებით. მაგრამ, თუ საჭირო იქნება ამისათვის უცხოთის პერსონალის მონაწილეობა, საბჭოთა მხარეს შეუძლია ამაზედაც დათანხმდეს, და საჭირო შემთხვევაში მიიღოს სიფრთხილის ღონისძიებანი იმის წინააღმდეგ, რომ გამოიყენონ ასეთი ფრენა დაზვერვის მიზნით. „ამრიგად, — წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, — ჩვენი წინადადება ავტომატური სეისმური სადგურების შესახებ შეიცავს საერთაშორისო კონტროლის ელემენტებს. ეს საბჭოთა კავშირის კეთილი ნების დიდი აქტია“.

თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, და თქვენი წარმომადგენლები, ნათქვამია წერილში, აცხადებთ, თუ მინიმალური რაოდენობით მაინც არ დაწესდა ინსპექციები ადგილებზე, ვერ დავიყოლიებთ ამერიკის სენატს დაამტკიცოს შეთანხმება გამოცდების შეწყვეტის შესახებო. ეს პირობა, როგორც ჩვენ გვესმის, გბოჭავთ და არ გაძლევთ შესაძლებლობას ხელი მოაწეროთ ხელშეკრულებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს ყველას სამუდამოდ დავტოვოთ პოლიგონები, სადაც ატომური იარაღის გამოცდები წარმოებს. თუ ეს ერთადერთი სიძნელეა შეთანხმების გზაზე, ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის კეთილშობილური და ჰუმანური მიზნისათვის ჩვენ მზად ვართ ანგარიში გაგიწიოთ ამ საკითხშიც.

საბჭოთა მთავრობის მეთაური აცხადებს, რომ ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევის მიზნით, იმ შემთხვევებში, როცა ეს საჭიროდ ჩაითვლება, დათანხმდეს 2-3 ინსპექციას წელიწადში თითოეული ატომური სახელმწიფოს ტერიტორიაზე სეისმურ რაიონებში, სადაც შეიძლება მოხდეს ნიადაგის რაიმე საეჭვო რხევა. ამასთან, რა თქმა უნდა, მიწისქვეშა ატომური გამოცდების აკრძალვის შესახებ შეთანხმებისადმი კონტროლის საფუძველი იქნება აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი და ამასთან ავტომატური სეისმური სადგურები. უნდა განხორციელდეს სიფრთხილის ღონისძიებანი იმის წინააღმდეგ, რომ ბოროტად გამოიყენონ კონტროლი ჯაშუშობის მიზნით.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახლა შეთანხმების გზა პირდაპირი და ნათელია. ახალი, 1963 წლის 1 იანვრიდან მსოფლიო შეიძლება განთავისუფლდეს ატომურ აფეთქებათა გრუხუნისაგან. ამას მოელიან ხალხები, ამისათვის მოგვიწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ“, — აცხადებს თავისი წერილის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის 1962 წლის 28 დეკემბრის საპასუხო წერილში „ნათქვამია: მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებანი სასარგებლო იქნება იმისათვის, რომ ორივე მხარე დაადგეს შეთანხმების გზას.

გამამხნევა იმან, რომ თქვენ მზად ხართ მიიღოთ ადგილობრივი ინსპექციის პრინციპი, წერს ჯ. კენედი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი აცხადებს, რომ წინადადება საბჭოთა კავშირის სამი ადგილის შესახებ, სადაც შეიძლება დაიდგას უპირსონალო სეისმური სადგურები, სასარგებლოა, მაგრამ საკმარისად შორს გამიზნული არ არის. მისი აზრით, უპერსონალო სეისმური სადგურები უნდა დაიდგას ზონებში, სადაც ყველაზე ხშირია სეისმური რხევები, და ასახელებს კამჩატკისა და ტაშკენტის ზონების რაიონებს. ჯ. კენედის აზრით, შეიძლება რამდენადმე შემცირდეს სადგურების რიცხვი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მოეწყოს სადგურები ჰოკაიდოზე, პაკისტანსა და ავღანეთში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს მიაჩნია, რომ აღძრული პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი როდია. იგი გამოთქვამს იმედს, რომ გაგანგრძობენ ერთობლივ მუშაობას ეფექტიანი შეთანხმების მისაღწევად ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვი თავის 1963 წლის 7 იანვრის წერილში უპასუხებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს და კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი — ყველაზე უახლოეს დროში აიკრძალოს ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდა, სწორად არის შეფასებული.

„ქვენი პასუხი ისე გვესმის, რომ წინაადმდეგი არა ხართ მიწისქვეშა ატომური გამოცდების აკრძალვის შესახებ შეთანხმებისადმი კონტროლის საფუძველი იყოს აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი და ამასთან, ავტომატური სეისმური სადგურები.

საბჭოთა კავშირი არ იქნება წინააღმდეგი, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ ავტომატური სეისმური სადგური სსრ კავშირის შუა აზიის ზონისათვის გადატანოს ტაშკენტის რაიონში, განალაგოს იგი ქალაქ სამარყანდის მახლობლად, ხოლო შორეული აღმოსავლეთის ზონისათვის — განალაგოს ატომური სადგური სეიმჩანში, რომელიც კამჩატკის სეისმურ რაიონში შედის.

„საბჭოთა მთავრობა თავის სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საკმარისია დაიდგას სამი ავტომატური სეისმური სადგური. მით უმეტეს, რომ თქვენს წერილში, ბატონო პრეზიდენტო, აღნიშნულია, რომ შესაძლებელია დაიდგას ავტომატური სეისმური სადგურები საბჭოთა კავშირის სეისმური ზონების მომიჯნავე ტერიტორიებზე — ჰოკაიდოზე, პაკისტანსა და ავღანეთში, რა თქმა უნდა, შესაბამის მთავრობათა თანხმობით“, — ნათქვამია წერილში. შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი წერს: „ოღონდ ჩვენ უფლება გვაძლევ მოგვაგონოთ, რომ თქვენც დასახელებთ ერთ-ერთ რაიონებს, სადაც უნდა დაიდგას ასეთი სადგურები ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, და სადგურების დადგმის ადგილების შეთანხმების დროს ამერიკის მხარე თავდაჯერებული ჩანს, ეს ... [illegible] ... ამერიკის მხარეს ... [illegible] ... თქვა რწმენა, რომ ახლა არის ყველა შესაძლებლობა შეთანხმდნენ ინსპექციის საკითხზეც. იგი აღნიშნავს: „ჩვენ მიგვაჩნდა და კვლავ მიგვაჩნია, რომ საჭირო არ არის ინსპექცია, და თუ ვეთანხმებით ყოველწლიურ კვოტას — 2-3 ინსპექციას წელიწადში, ვეთანხმებით მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ჯერ კიდევ არსებული უთანხმოებანი, რათა მივაღწიოთ შეთანხმებას“. საბჭოთა კავშირი წინაადმდეგი არ არის, რომ ინსპექციები მოეწყოს ასეთსმურ რაიონებშიც, თუ ასეთი ინსპექციები მოეწყობა მის მიერ აღნიშნული ყოველწლიური კვოტის ფარგლებში.

წერილში გამოთქმულია იმედი, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა შეხვედრებს „უკვე უახლოეს ხანში უნდა მოჰყვეს ჯერ კიდევ არსებულ გადაუჭრელ საკითხთა შეთანხმება, რათა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობის განახლების შემდეგ ჩვენმა წარმომადგენლებმა აცნობონ კომიტეტს, რომ ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის აკრძალვის შესახებ შეთანხმების დადების გზა გახსნილია“.

(საკდესი).

თანაარსებობის, მშვიდობის ლენინური პრინციპები

საუკუნეობით თან სდევს კაცობრიობას ომების საშინელება. ისინი სტიქიურ უბედურებათა გარდუვალობით იწყებოდა. ადამიანები ხოცავდნენ ერთმანეთს, სპობდნენ საარსებო დოვლათსა და კულტურის ფასეულობებს, უაზრო სისასტიკით ეჯიბრებოდნენ ამაში ბუნების ბრმა ძალებს.

იმპერიალიზმმა არაჩვეულებრივად გაზარდა ომის მასშტაბები. მის ეპოქაში ომის საკითხი დედამიწის ყველა ქვეყნის მთელი პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა. ეს არის ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. უომო მსოფლიოზე ოცნებობს კაცობრიობა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, რომლებმაც სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად გადაქციეს და ისტორიის ობიექტური კანონები აღმოაჩინეს, ცხადყვეს კომუნისმის და მშვიდობის ერთიანობის ღრმა კანონზომიერება. მათ ცხადყვეს, რომ ომების ლიკვიდაციისა და ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის უზრუნველყოფის ამოცანის გადაჭრა მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებას შეუძლია. ისინი ამბობდნენ, რომ მხოლოდ პროლეტარებს ძალუძთ მოსპონ ეროვნული განკერძოებულობა, დაამყარონ ძმობა სხვადასხვა ერებს შორის.

თეორიულად ავითარებდა რა მარქსისტულ თეორიას ახალ ისტორიულ პირობებში, ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ძირითადი მიმართულებანი რევოლუციური მარქსისტული პარტიების საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობისა იმპერიალიზმის ეპოქაში და კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე კაცობრობის გადასვლის ეპოქაში, შეიმუშავა და წამოაყენა სოციალისტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის პრინციპები, რომლებიც მუშათა კლასისა და მთელი ხალხის ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავენ.

გრანიტის საფუძვლები, რაზეც დამყარებულია ჩვენი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკისაგან, შეიმუშავა ვ. ი. ლენინმა, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა და საბჭოთა მთავრობის პირველმა ხელმძღვანელმა. თავის გენიალურ ნაშრომებში და გამოსვლებში ლენინმა განსაზღვრა მთელი საგარეო პოლიტიკის ამოცანები და თავისებურება, მიგვითითა გზები და მეთოდები საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლისა მშვიდობისათვის, რომელიც აუცილებელია ახალი, კომუნისტური საზოგადოების სწრაფად და წარმატებით ასაშენებლად.

ჯერ კიდევ ოქტომბრის გამარჯვებამდე, 1916 წელს, როცა გაჩაღებული იყო პირველი მსოფლიო ომი, ლენინი ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა არ შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად ყველა ქვეყანაში. იგი წინასწარ ჭვრეტდა, რომ სოციალისტური რევოლუცია გაიმარჯვებს თავდაპირველად ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენი ქვეყნები გარკვეული დროის მანძილზე ბურჟუაზიულნი ან ბურჟუაზიულამდელნი დარჩებიან. ამრიგად, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოებისათვის გარკვეული დროის მანძილზე საჭირო იქნება თანაარსებობა.

ემყარებოდა რა კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ობიექტურ შესაძლებლობას, ვ. ი. ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფა სოციალისტური შენებლობის შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის. თვით სინამდვილეში იმპერიალიზმის წინააღმდეგობებში იგი პოულობდა ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ მშვიდობიანი თანაარსებობის წარმატებას. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის დიდმნიშვნელოვანი ელემენტია, მისი განუყოფელი, შემადგენელი ნაწილია.

ლენინის შრომებში ღრმად არის დასაბუთებული სოციალისტური საგარეო პოლიტიკის სხვა უმნიშვნელოვანესი პრინციპიც — პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

ამრიგად, ვ. ი. ლენინის გიგანტური მუშაობის მეოხებით ჩვენმა პარტიამ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე შექმნა საფუძვლები თავისი საგარეოპოლიტიკური პროგრამისა, რომლის განხორციელება 1917 წლის ოქტომბერში მომდევნო სოციალისტური გადატრიალებისთანავე დაიწყო. ეს პროგრამა შეიცავდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის ყოველმხრივ განხორციელებას, მშვიდობიან თანაარსებობას, ბრძოლას იმპერიალისტური ომების, მილიტარიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი პრინციპები ოფიციალურად გამცხადებულ და საკანონმდებლო წესით განმტკიცებულ იქნა ლენინურ დეკრეტში ზავის შესახებ, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ამ პირველ საგარეოპოლიტიკურ აქტში.

სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა, საფუძვლად დაედო საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას და მისი გენერალური ხაზი გახდა.

იმპერიალიზმის იდეოლოგები, აგრეთვე სხვადასხვა ჯურის რეფორმისტები, ოპორტუნისტები, რევიზიონისტები და დოგმატიკოსები აყენებენ თეზისს, თითქოს მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა და თვით ეს ცნება არასოდეს არ წამოუყენებინოს და არ დაეცვას ვ. ი. ლენინს, არამედ მხოლოდ 1956-1962 წლებში გამოაცხადა საბჭოთა მთავრობამ.

იმპერიალისტი მჭღაბნელები ასეთ ყალბ მტკიცებას იმისთვის მიმართავენ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა წარმოადგინონ როგორც კომუნისტების კონიუნქტურული მანევრი. მაგრამ ფაქტები სავსებით აბათილებენ ამ სიყალბეს. ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ომის პერიოდშიც კი ვ. ი. ლენინი, კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ იბრძოდნენ მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

მისდევენ რა ლენინურ საგარეოპოლიტიკურ პრინციპებს და განუხრელად ახორციელებენ მათ თავიანთ საერთაშორისო საქმიანობაში, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა 45 წელზე მეტი ხნის მანძილზე ენერგიულად და თანმიმდევრულად იცავენ მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების საქმეს. როგორც არ უნდა იცვლებოდეს ჩვენი საგარეოპოლიტიკური საქმიანობის კონკრეტული ამოცანები და პრაქტიკული ფორმები ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მთავარი ხაზი, მისი ძირითადი უფაქიზდესი პრინციპები მუდამ უცვლელი რჩებოდა.

მშვიდობისათვის ბრძოლა

მარქსისტ-ლენინელთა გენერალური ხაზია

საერთაშორისო საზოგადოებრიობა ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შესახებ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე

სოფია. კაცობრიობაზე კვლავ დიდი ზეგავლენა მოახდინა ნ. ს. ხრუშჩოვის ბრძანულმა სიტყვებმა, რომლებიც გამსჭვალულია ზრუნვით მშვიდობისათვის, წერს გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“. მისი შესანიშნავი გამოსვლა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ყრილობაზე გულში ჩასწვდა არა მარტო დელეგატებს, არამედ ჩვენი პლანეტის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს. ეს ითქმება იმით, რომ, გარდა თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზისა, მან დასახა დამღუპველი თერმოატომური ომისაგან კაცობრიობის ხსნის ერთადერთი შესაძლებელი გზა.

დელი. საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ინდოეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. მ. ნამბუდირიპადმა განაცხადა, რომ ხრუშჩოვის სიტყვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ყრილობაზე ღრმად სცემს ... [illegible] ... ერთადერთი სწორი დასკვნა, რომ მშვიდობიანი ცხოვრება დედამიწაზე შეიძლება უზრუნველყოს მხოლოდ მშვიდობიანმა თანაარსებობამ.

ათენი. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, წერს გაზეთი „მესიმერინი“, კვლავ დაამტკიცა, რომ რეალისტია პოლიტიკაში. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე შეიცავს პრაქტიკულ წინადადებებს სადავო საერთაშორისო პრობლემებზე, იგი მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი ერთგულად იცავს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

ოსლო. გაზეთი „ფრიპეტენი“ განმარტავს მოწონებავე სტატიაში ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე და განსაკუთრებით გამოაყოფს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც იგი მოითხოვს შეწყდეს პოლემიკა კომუნისტურ პარტიებს შორის. ასეთი პოლიტიკა, წერს გაზეთი, საფრთხეს უქმნის ჩვენი მოძრაობის ერთობას და ასუსტებს საერთო ღონისძიებებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დასასრულ „ფრიპეტენი“ აცხადებს: „ჩვენ გვიხარია, რომ ამხანაგმა ხრუშჩოვმა ისე გარკვევით განაცხადა, თუ რა პოზიცია უჭირავს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ამ საკითხში“. (საკდესი).

მეგობრობის განმტკიცებისათვის

პეკინი, 20 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს ოქმს ჩინეთსა და ნეპალს შორის სასაზღვრო ხაზის შესახებ. ოქმს ხელი მოაწერეს: ჩინეთის მხრიდან — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩენ იმ, ნეპალის მხრიდან — მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ტულსი გირიმ.

გაიდანი: იემენის ხალხს ვერ შეაშინებენ

კაირო, 19 იანვარი. (საკდესი). იემენის არაბთა რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდანიმ, რომელიც გუშინ კაიროში ჩავიდა, მენის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერს ჩაუტანა პრეზიდენტ სალალის წერილი და რომ ერთი კვირის მანძილზე იგი მოლაპარაკებას აწარმოებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან.

კორესპონდენტმა სთხოვა ბაიდანის გამოთქვა აზრი საუდის არაბეთში ამერიკის თვითმფრინავებისა და წითელ ზღვაში ამერიკის სამხედრო ხომალდების გადაყვანის შესახებ. ამის პასუხად ბაიდანიმ განაცხადა, ვერავითარი სამხედრო დემონსტრაცია ვერ შეაშინებს იემენის რევოლუციურ ხალხს და ხელს ვერ შეუშლის მას ახალი იემენის მშენებლობაში.

საიდუმლო თათბირი

სტამბოლი, 20 იანვარი. (საკდესი). თურქეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეებმა გამართეს საიდუმლო თათბირების სერია. პრესა თუმცა ოფიციალურად არ იუწყება ამ თათბირების მიზანს, მაგრამ მაინც აღნიშნავს, რომ აქ განიხილეს იმ დახმარების საკითხები, რასაც დასავლეთი უწევს თურქეთს. გუშინდელი თათბირის შემდეგ, რომელიც პრემიერ-მინისტრ ინენიუს თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, თავდაცვის მინისტრმა სანჯარმა ეურნალისტებს განუცხადა, რომ მათ „განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიურ და სამხედრო დახმარებასთან ნატოს ფარგლებში“.

როგორც „ჯუმჰურიეთი“ წერს, თურქეთის ხელმძღვანელთა შორის გაიმართა აზრთა გაზიარება ნატოს სამხედრო დახმარების რაოდენობისა და მიღების წესის შესახებ.

პრესა ვარაუდს გამოთქვამს, რომ ამ თათბირებზე ლაპარაკი იყო აგრეთვე რაკეტული ბაზების განლაგების შესახებ თურქეთის ტერიტორიაზე. „ენი საბაჰის“ ცნობით, თურქეთის მიეცემა უფრო ძ�sა „ატლანტიკური“ რაკეტებისა. გაზეთი „აკშამი“ აღნიშნავს, რომ შესაძლებელია თურქეთმა მიიღოს „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები, რომელთა „ბაზა ხმელთაშუა ზღვაში იქნება“.

ჩინეთის ჯარების გაყვანა

პეკინი, 20 იანვარი. (საკდესი). ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის აღმოსავლეთ უბანზე ჩინეთის მესაზღვრეთა რაზმები გუიუტუნიდან, დაბიდან და სხვა ადგილებიდან გავიდნენ ციაულის რაიონში, რომელიც მდებარეობს 1959 წლის 7 ნოემბრისათვის ჩინეთსა და ინდოეთს შორის არსებული ფაქტიური კონტროლის ხაზის ჩრდილოეთით, იუწყება სინხუას საააგენტო.

მას შემდეგ, რაც 1962 წლის 1 დეკემბერს დაიწყეს ევაკუაცია ვალონგის სამხრეთით მდებარე ჩილისა და სამუელრის რაიონებიდან, ჩინეთის მესაზღვრეთა რაზმები უკვე ას კილომეტრზე მეტ მანძილზე შეეცილნენ ვალონგის რაიონის სიღრმეში.

ბრძმედი ბჰილაიში

დელი, 20 იანვარი. (საკდესი). გუშინ ბჰილაის მეტალურგიულ კომბინატში საზეიმო ვითარებაში საფუძველი ჩაუყარეს ახალ ბრძმედს. კომბინატის პირველ რიგში, როგორც ცნობილია, იგო სამი ბრძმედი, რომელთა საერთო სიმძლავრე 1 მილიონი ტონა თუჯია წელიწადში. კომბინატის გაფართოების გეგმის შესაბამისად გასულ თვეს დაიწყეს მეოთხე ბრძმედის მშენებლობა, ხოლო ახლა საფუძველი ჩაუყარეს მეხუთეს — ყველაზე დიდ ბრძმედს. მისი მოცულობა 1719 კუბური მეტრია. ბრძმედის ამუშავების შემდეგ იგი გამოუშვებს 1.500 ტონა თუჯს დღე-ღამეში.

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „ლენინი პოლონეთში“. გამოფენა მთავრდება ... [illegible] ... ლენინის მუზეუმმა. სურათზე: პოლონეთში ვ. ი. ლენინის ყოფნისადმი მიძღვნილი გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში.

ფოტო ვ. სობოლევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).



წინგადადგმული ნაგიჯი

ლონდონი, 21 იანვარი. (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი დღეს მიესალმა წერილების გაცვლას ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჯ. კენედის შორის ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე, როგორც „დიდმნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს“. მან იმედი გამოთქვა, რომ მომავალი მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნება პროგრესი დარჩენილ პრობლემათა გადაჭრაში და შესაძლებელი გახდება შეთანხმების ხელმოწერა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. ღღეანდელი პრესა განმარტავს წერილების გაცვლას ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჯ. კენედის შორის და აღნიშნავს, რომ შესაძლებელია დიდმნიშვნელოვანი ძვრა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის პრობლემის გადაჭრაში.

მოლაპარაკების ჩაშლა თუ ვადის გადადება?

ლონდონი. (საკდესი). ამრიგად, „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის შესახებ მოლაპარაკების შემდგომი ბედის საბოლოოდ გადაჭრა 10 დღით გადაიდო.

რას შეცვლის ეს 10 დღე? გაზეთი „დეილი-მეილი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა უარი თქვა ამ პერიოდში მონაწილეობა მიიღოს რაიმე მოლაპარაკებაში. ეს კი, გაზეთის აზრით, იმის „თვალსაჩინო ნიშანია“, თუ რა შეიძლება მოხდეს 28 იანვრის შემდეგ. კრიზისი კვლავ სერიოზულია, აცხადებს გაზეთი.

„ბრიუსელის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ ჩაშლილა, მაგრამ ამის, აშკარაა, აღარაფერი აკლია“, — აცხადებს სარედაქციო სტატიაში „ფაინენშლ ტაიმსი“. „თუ სასწაული არ მოხდა, — წერს „დეილი მირორი“, — ინგლისს არ დაუშვებენ საერთო ბაზარში, ყოველ შემთხვევაში არ დაუშვებენ უახლოეს მომავალში“.

„სასწაულმოქმედის“ ძიებაში ლონდონმა ბონს მიაპყრო თვალი. დასავლეთ გერმანიის კანცლერი პარიზს მიემგზავრება. მისი შეხვედრა დე გოლთან შეიძლება გადამწყვეტი გახდეს, წერს „ტაიმსი“. „გარდიანი“ თავის მხრივ აღნიშნავს: „თუ საერთოდ შესაძლებელია დაარწმუნონ პრეზიდენტი დე გოლი, რომ აზრი შეიცვალოს, ეს იქნება შედეგი არა იმისა, რაც ბრიუსელში ხდება, არამედ, იმისა, რაც ბონში ხდება“. ადენაუერის სამსახური აუნაზღაურებელი როდი დარჩება. უკანასკნელ ხანს ინგლისის პრესაში დაიბეჭდა ბევრი ცნობა, რომ ინგლისი ცდილობს მოიპოვოს ბონის მხარდაჭერა ამ საკითხში და თავის მხრივ აღუთქვამს, რომ ხელს შეუწყობს დასავლეთ გერმანიის იმ პრეტენზიებს, რომ მონაწილეობა მიიღოს ნატოს ევროპის „მრავალმხრივი ატომური ძალებისადმი“ კონტროლში.

ინგლისის მმართველი წრეები, როგორც ჩანს, იმედს ამყარებენ პრეზიდენტ კენედის გავლენაზეც. რომსა და ბონში მომავალი ვიზიტის დროს კენედის განზრახული აქვს განიხილოს „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის გეგმები დასავლეთ ევროპის ერთობის პრობლემები. ვარაუდობენ, რომ კენედი მხარს დაუჭერს ინგლისის შესვლას „საერთო ბაზარში“. „ამრიგად, — აცხადებს „ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი, — ინგლისი უნდა მოელოდეს, რომ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში შესვლის მის გეგმებს ძლიერი მხარდაჭერა ექნება, თუ მაშინ ინგლისის განცხადება ძალში დარჩება...“

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲛᲘ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ მკითხველებს კარგად ახსოვთ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სამამულო ომში სასახელოდ დაღუპული ალექსანდრე ტყეშელაშვილისა და ალექსანდრე ბიბილეიშვილის გმირობის ამბავი. მას შემდეგ, რაც ომი დამთავრდა ბევრმა წყალმა ჩაიარა, გავიდა წლები, ხალხი კი მაინც სიყვარულით იგონებს და დიდების შარავანდედით მოსავს გმირულად დაღუპულ შვილებს.

რედაქცია სისტემატურად იღებს წერილებს ომში დაღუპულ უცნობ გმირთა შესახებ. გვწერენ ომის ვეტერანები, საბჭოთა არმიის მებრძოლები, მუშები, გლეხები, ინტელიგენცია.

ქვემოთ ვბეჭდავთ წერილს, რომელიც კიდევ ერთ გმირს გვაცნობს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔᲠᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲖᲠᲓᲝᲔᲑᲔᲚᲡ

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘᲐ ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ

ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲫᲔᲑᲜᲔᲚᲝ...

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ, ᲐᲥᲢᲘᲕᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲘᲐ

ՍᲐᲕᲔᲠ ᲗᲐᲒᲘᲜᲓᲐᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲛᲯᲓᲐᲠ ᲤᲐᲨᲘᲡᲢ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲜᲯᲘ შემოეყარა და განრისხებული იატაკზე ერთ წერტილს ჩაშტერებოდა. გაიღო ოთახის კარი, ჯარისკაცებმა ჰიტლერელს შავგვრემანი ჭაბუკი წარუდგინეს. ალმაცერად ახედა ტყვეს, გაცოფდა, მის სახეზე სიმშვიდე და გაუტეხლობა რომ ამოიკითხა.

— შენ კარგად იცი, ახლა სად ხარ და ვის წინაშე დგეხარ — მთელი სისასტიკით უთხრა ჰიტლერელმა მხრებგაშლილ ვაჟკაცს.

— ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, მე ეს ადრეც ვიცოდი!..

— დაწვრილებით ილაპარაკე თქვენი ჯარის ნაწილების შესახებ.

— მე არაფერს არ ვიტყვი! — მტკიცე გადაწყვეტილებით უპასუხა საბჭოთა მფრინავმა.

— მაშინ დაგხვრეტ, — ცოფიანივით დაიღრიალა ფაშისტმა მხეცმა და მართლაც გაცოფებულმა ჰიტლერელებმა გმირი პატრიოტი გიორგი საამშვილი მაშინათვე დახვრიტეს.

ეს იყო 1942 წლის 18 დეკემბერს. ჩვენი ავიაციის ბომბდამშენთა პოლკს დავალებული ჰქონდა ვოლგოგრადთან გარშემორტყმული მტრის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის განადგურება. საბჭოთა მფრინავები მუსრს ავლებდნენ მტერს გამოჩნდა მტრის შვიდი ავიაგამანადგურებელი. ერთი მათგანი გიორგი საამშვილმა ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერით ცეცხლის ალში გახვია და ჩამოაგდო. მტრის სხვა თვითმფრინავებმა ცეცხლი დაუშინეს საამშვილის მანქანას. მის თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა. სხვა გზა არ იყო პარაშუტით დაეშვნენ შტურმანი საამშვილი, მფრინავი ონუჩაკი და რადისტი მალიკოვი. ისინი გერმანელთა მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვდნენ და სამივენი ტყვედ ჩავარდნენ.

გიორგი საამშვილის გმირობის ამბავი ტყვეობიდან დაბრუნებულმა ონუჩაკმა და მალიკოვმა მოიტანეს.

აი რა მოსწერა ამას წინათ გიორგი საამშვილის დედას ელენე დავითის ასულს მე-2 ესკადრილიის ყოფილმა მეთაურმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, ავიაციის თადარიგის გენერალ-მაიორმა მიხეილ ანდრიასძე ყიოვლუპმა.

„თქვენმა ვაჟიშვილმა გიორგიმ დაკითხვაზე კატეგორიულად უარყო ფაშისტი ოფიცრის მიერ მიცემულ კითხვებზე პასუხის გაცემა და სახეში მიაფურთხა, რისთვისაც იგი დახვრიტეს.

...თუმცა მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მე კარგად მახსოვს თქვენი ვაჟიშვილი. მე თვითონ, როგორც ესკადრილიის მეთაურმა, დავწერე მასალები სახელმწიფო ჯილდოზე მისი წარდგენის შესახებ...

ელენე დავითის ასულო, დიდად გძაღლობთ დინჯი, კეთილსინდისიერი, მამაცი, სამშობლოს ერთგული ვაჟიშვილის აღზრდისათვის, რომელიც სამაგალითოა ბევრი ოფიცრისათვის.

გიორგი საამშვილმა პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. იგი დაეცა სამშობლოს დაცვისათვის უთანასწორო ბრძოლაში, დაეცა ისე, როგორც შეჰფერის ლენინურ კომკავშირში აღზრდილს, პარტიის ღირსეულ წევრს“.

ამბობენ, გმირები არ კვდებიანო. სახელოვანი პატრიოტის გიორგი საამშვილის სახელს, მის დიდებას უაქიზად ინახავს ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მატიანე.

მაიორი

Მ. ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲣᲥᲔᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ იტყვიან, სირცხვილით წითლდებოდნენ მუქედელი კოლმეურნეები, სტუმარი რომ ეწვეოდათ, და ეს იმიტომ, რომ ამოდენა კოლმეურნეობას შესაფერისი კანტორის შენობა არ ჰქონდა.

და აი კოლმეურნეობის საერთო კრებამ ერთი წლის წინათ მიიღო გადაწყვეტილება ორსართულიანი კახტორის აშენების შესახებ. მალე საქმესაც შეუდგნენ. საჭირო მასალების მომარაგებაც არ დააყოვნეს. მშენებლობის ბრიგადირმა ე. მინაშვილმა, მშენებლებმა ვ. მინაშვილმა, ბ. იობაძემ, რ. გუმბერიძემ, ი. გუმბერიძემ და სხვებმა კოლმეურნეების აქტიური დახმარებით უკვე წამოიმეს კოლმეურნეობის ორსართულიანი კეთილმოწყობილი კანტორა. აქვეა მოთავსებული სასოფლო საბჭო, ბიბლიოთეკა, სამედიცინო დამხმარე პუნქტი, კლუბი.

Ა. ᲐᲮᲝᲒᲐᲫᲔ.

მაიაკოვსკის რაიონი.

ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗᲘᲡ ᲢᲧᲕᲔ — ᲩᲕᲔᲜ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲖᲠᲓᲝᲔᲑᲔᲚᲡ

ᲯᲣᲚᲘᲔᲗᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

«ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲢᲧᲔ» ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘᲡ შესანიშნავი რომანმა „რუსული ტყე“ გამოქვეყნებისთანავე უფარტოესი საზოგადოებრივი რეზონანსი მოიპოვა მთელ საბჭოთა კავშირში. გამორჩენილმა ქართველმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ ამ რომანს მიუძღვნა სანტერესო წერილი „ᲓᲐᲕᲬᲔᲠᲝᲗ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲧᲔ“, რომელშიც აღნიშნავდა:

„რუსეთის მწერლობამ დიდიხანია მიჰხედა თავის ბუნებას და დიდ ბრძოლასაც აწარმოებს მის დასაცავად. პრესაში მოთავსებული აუარებელი კოლექტიური წერილების, შეკითხვების გარდა სამინისტროებისადმი, რამაც ბევრი შესძინა, კერძოდ, ტყის დაცვას, უნდა აღინიშნოს ლეონიდ ლეონოვის უზარმაზარი რომანი „რუსული ტყე“, რომელშიც ტყის მტკივნეული საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით არის დასმული და რომელმაც გამოაცალა ტყის მეგობართა რაზმები საბჭოთა კავშირში“.

ლ. ლეონოვმა ხელი მოჰკიდა მართლაც უზარმაზარ პრობლემას, რომელსაც განუზომელი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ხალხისა და ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის. რეფოლუციამდე, თითოოროლა მეცნიერს გარდა, ამ საკითხს არავინ არ უფიქრდებოდა და არ ზრუნავდა დაეცვა ტყე — ხალხის ეს ფასდაუდებელი საუნჯე. ამიტომ განიცადა ტყემ ასეთი დიდი ზარალი და ეს დღესაც უალრესად საგრძნობია. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ლეონოვმა თავის რომანში არა მარტო რუსული, არამედ ქართული ტყის საკითხიც აღძრა. რომანის მთავარი გმირი — პროფესორი ივანე მათეს-ძე ვიხროვი სამამულო ომის პირველსავე დღეებში სატყეო ინსტიტუტში კითხულობს ლექციას, რომელშიც ამბობს:

„საერთოდ ნაკლებ სავალალო როდია საქართველოს ბევრი ტყის ხვედრი, რამაც გავლენა იქონია კავკასიური მდინარეების ხასიათზე. ხადგურდება გომბორის ტყეები თელავთან, ხოლო საუკუნის დასასრულს (იგულისხმება მე-19 საუკუნე) ისინი ძირს ეცემიან გორის სამხრეთით, სათარხანო, საციციანო და საჯავახიანო ფეოდალურ მამულებში, რომლებიც საჩეხად იყო გადაცემული გარკვეული ვადით. დამკვნარი ფოთლით შემოსილი მიცვალებულნი მთის კალთებზე ყრიან, დაბლობებში მორების ჩამოსათრევად კამეჩები აღარ ჰყოფნრთ... თავსხმების შედეგად ჩამორეცხილი ნიადაგის ქვეშ კლდე გამოჩნდება. ხელმისაწვდომ ხეობებში თხელდება ძველი ქართული თელა და რიონის ხეობიდან ძელქვა გადასახლდა ხალხურ თქმულებებში, რომლებშიც უკვე დიდი ხანია შრიალებენ მათი ღვიძილ ძმები — ხორციის მუხები. იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩივის ძველი ხალხი, სიმინდს ჭარი წვავსო, ხოლო თავშიშველი მტკვარი და არაგვი გაზაფხულობით შმაგდებიან; აერე მირბიან იმ საათის ისრები, საიდანაც ამოძრობილია ძალის გამანაწილებელი ქანჭარა“.

ლ. ლეონოვი თავის რომანში მეორე ადგილსაც იხსენიებს ქართული „ურთხელისა და ბზების რელიქტურ და შეთხელებულ წარაფებს“, „გადაშენების პირას მისულ ქართულ ძელქვას და შავი ზღვის სანაპიროზე გაბარდნილ მაყვლის ბუჩქებს“.

ხელმისაწვდომ ხეობებში თხელდება ძველი ქართული თელაო! — გულისტკივილით წერს ლეონოვი.

შეუძლებელია ქართველი მკითხველი არ განმსჭვალოს უღრმესი მადლიერებით რუსი მწერლისადმი, რომელმაც ასე მძაფრად დააყენა ეს საკითხი.

ამ ათიოდე წლის წინათ მე ფეხით მოვიარე კავკასიონის ფერდობები ბაისუბნის თავზე, ვიყავი მართო მისაწვდომი კი არა, მიუწვდომელ ხეობებშიც და მართლაც ბევრი რამ საწყენი ვნახე: უზარმაზარი თელები წაექცია ისეთ ადგილებში, საიდანაც მათი გამოტანა მართლაც შეუძლებელი იყო. ეყარნენ ეს გოლიათები მიწაზე და ამაოდ ლპებოდნენ. ბევრგან მორები შტაბელებადაც კი დაეწყოთ მიუხედავად იმისა, რომ უგზოობის გამო მათი გამოტანის იმედი კაცს არ უნდა ჰქონოდა! ყველაფერი ეს მეტად გულსატკენი სანახავი იყო.

არა, ჩვენი მუხები და თელები მარტო თქმულებებში კი არა, ჩვენს მიწაზე უნდა შრიალებდნენ, არ შეიძლება მათ რელიქტური ანუ გადმონაშთობრივი ეწოდებოდეთ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ძსინი იყვნენ არა გადმონაშთობრივნი, არამედ დიდი მომავლის მქონენი, ცოცხალნი. მზარდნი. ამას ქვეყნის ინტერესი მოითხოვს — ეს თელები და მუხები იცავენ ჩვენს ყანებს, ჩვენს მოსავალს, ჩვენი ხალხის სიცოცხლეს.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა მთავრობა ესოდენ დიდი ყურადღებით მოეკიდა ამ საქმეს და საქართველოს უმაღლესმა საბჭომ სპეციალური სესია მიუძღვნა ამ საკითხს — მიიღო კანონი ტყეებისა და საერთოდ ბუნების დაცვის საკითხებზე. ყოველივე ამან დიდად წაადგა წინ ტყის დაცვის საქმე, აამოქმედა ჩვენი ხალხის ენერგია ამ სფეროში.

გასაკეთებელი კი აქ მართლაც ძალიან ბევრი რამ არის. ტყეების გაჩეხვამ მეტად მწვავე ჭრილობები მიაყენა ჩვენს ქვეყანას. ვისაც ნალკის მიდამოებში და ჯავახეთის ზეგანზე უვლია — ის ადვილად მიხვდება, თუ რა უბედურებაა უტყეობა ხალხისა და ქვეყნისათვის.

მაგრამ ახა ახლა კახეთს გადავხედოთ. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში და განსაკუთრებით შირაკ-გარეჯის ზეგანზე, შარშანწინდელი გაზაფხულის შემდეგ, ე. ი. თითქმის მთელი სამი წლის მანძილზე, თითქმის არცერთხელ რიგიანი წვიმა არ მოსულა, რის გამოც ამ რაიონებში მთელი ამ დროის მანძილზე საშინელი გვალვა მძვინვარებდა.

საქართველოს კა XXI ყრილობაზე აღინიშნა, რომ „უმაგალითო გვალვის შედეგად რესპუბლიკაში დაიღუპა 100 ათას ჰექტარზე მეტი მარცვლეულის ნათესი, დაიღუპა არაერთგზის ხელმეორედ დათესილი ყანებიც, სიმინდის მწარმოებელ ძირითად რაიონებშიც კი, სადაც მოსავალს კარგი პირი უჩანდა, ნათესები დაიღუპა ხორშაკის გამო“.

100 ათასი ჰექტარი მარცვლეულის ნათესი — ეს არის დაახლოებით, საშუალო მოსავლიანობის დროს, 150 ათასი ტონა მარცვლეული, რომელიც ერთ წელიწადს ეყოფოდა ისეთ ქალაქს, როგორიც ჩვენი თბილისია.

აი რა ქნა ტყეების გაჩეხვამ საუკუნეთა მანძილზე — მან გაუხსნა გზა უდაბნოს ცხელ სუნთქვას, კახეთის ზღვის ნაპირებიდან რომ მოდის. აი ამან გადაწვა და გადაბუგა შირაქი.

წინათ კი ხორშაკს (ხალხში მას ქარშინასაც ეძახიან) შირაქისაკენ გზას უღობავდნენ ლეკისწყლის, პანტიშარის, ბულამოდნის, ეშმაკის ხევისა და შავ მთის ტყეები — სულ ღვიოსა და საღსალაჯისაგან რომ შედგებოდნენ. ეს ხეები ჭარისკაცებივით იდგნენ საქართველოს კარებში და იერიშით წამოსულ ხორშაკს აქეთ არ უშვებდნენ. მერე როგორი არამომთხოვნი იყო ღვიო! ის შიშველ, ტიალ კლდეზე იზრდებოდა, ფარავით ეფარა შირაქს, და აი ახლა ეს ტყეები აღარ არსებობენ!

მაგრამ არ შეიძლება გულხელდაკრეფილებმა ვუყუროთ ამ ამბავს. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ხორშაკს ისევ გადავუღობოთ გზა. რა საშუალებით? ისევ ტყით. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტიის პროგრამაში, რომელიც XXII ყრილობამ მიიღო, აღნიშნულია: „გაფართოვდეს მინდორსაცავი ტყის ნარგავის, წყალსატევების მშენებლობის, ხაძოვრების გაწყლიერების სამუშაოები“.

აი რატომ მოაქცია რუსმა მწერალმა ტყე თავისი ყურადღების ცენტრში, კიდევ ერთხელ გაგვახსენა — ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗᲘ ᲢᲧᲔᲡ — ᲩᲕᲔᲜ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲖᲠᲓᲝᲔᲑᲔᲚᲡ.

ასეთ ვითარებაში ლ. ლეონოვის რომანის გამოცემა ქართულ ენაზე ფრიად მისასალმებელი საქმეა. ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს და ახალ ძალას შემატებს ჩვენს ხალხს, ჩვენს პიონერებს, კომკავშირელებს, კოლმეურნეებს, სოფლის მუშაკებს, ყველა იმათ, ვინც ახლა რგავს თელებს, ნეკერჩხლებსა და მუხებს, რათა გზა გადაუღობონ ხორშაკს. ეს წიგნი კიდევ უფრო განუმტკიცებს ჩვენს ხალხს ტყისადმი პატრიოტულ გრძნობასა და უფრო ნათლად დაანახვებს, რომ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲠᲒᲕᲔᲚᲘ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲚᲝᲡ ᲐᲬᲛᲧᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

მაქსიმ გორკიმ ლეონიდ ლეონოვს „დიდი, ძალიან დიდი რუსი მწერალი“ უწოდა.

მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ცხოვრების მხატვრულ დანახვა-გადმოცემას იგი ᲠᲬᲣᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ, სრულიად თავისებურად ახორციელებს საკუთარი, სწორედ ლეონოვისეული ხელწერით; ეს თავისებური სტილი ჩამოაყალიბა ლეონოვმა მთელი თავისი სამწერლო გზის მანძილზე — დაწყებული გიმნაზიის ალმანახსა და არხანგელსკის „სევერნოე უტროსა“ და „სევერნი დენში“ გამოქვეყნებული ლექსებით და გათავებული ეპიკალური რომანით — „რუსული ტყე“.

ლეონოვის შემოქმედების, მისი ნაწარმოებების უალრესად სპეციფიკური ეროვნული კოლორიტი, ენის თავისებურება და სტილის სირთულე, ჩვენი აზრით, იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მისი არცერთი ნაწარმოები არ იყო აქამდე ქართულად თარგმნილი. თვითონ ლ. ლეონოვი ერთ წერილში აღნიშნავს, რომ მისი ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე — ფრიად ძნელი საქმეა. და მართლაც, დიდი შრომა, გამოცდილება და ძალთა დაძაბვაა საჭირო ლეონოვის რომელიმე ნაწარმოების სათარგმნელად, მით უმეტეს კი ისეთი დიდი და რთული რომანისა, როგორიც ლენინის პრემიით აღნიშნული „რუსული ტყეა“; როგორც უკვე ვთქვით, ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა მკითხველმა პირველად მიიღო ლეონიდ ლეონოვის ვრცელი რომანის ქართული თარგმანი — „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ“ გამოსცა ᲒᲘᲕᲘ ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მიერ თარგმნილი „რუსული ტყე“.

„რუსული ტყე“ არის ლეონოვის მწერლური სიჭარმაგის უბრწყინვალესი ნაყოფი. ეს გახლავთ მონუმენტური ტილო საბჭოთა პატრიოტიზმზე, სამშობლოს უანგარო სიყვარულზე, ძველისა და ახლის მძაფრ ბრძოლაში ახლის გამარჯვებაზე, ამ გამარჯვების მიზეზებზე, ახალი თაობის დაბადებასა და მორალურ დავაჟკაცებაზე, ყოველივე კითილის უძლეველობაზე; ეს გახლავთ წიგნი ბუნების უყველაზე დიდ საუნჯეზე — ტყეზე, რომელიც უმთავრესი გმირია რომანისა, უძვირფასესი სტრფიალოა ავტორისა, რომელმაც თანამედროვე ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა გააცოცხლა, აამეტყველა, სულიერ არსებამდე აამაღლა, ადამიანს დაანახვა და დაუმეგობრა მისი პირველი მფარველი და მზრუნველი, მანამდე მივიწყებული ტყე.

„რუსული ტყის“ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ ის სირთულე, რომელსაც წააწყდება ლეონოვის ნაწარმოებთა მთარგმნელი.

რაში მდგომარეობს ეს სირთულე?

უპირველესად, ლეონოვის ენის თავისებურებაში, თავისებურ სტილში, წერის განსაკუთრებულ, ლეონოვისებურ მანერაში, წმინდა რუსულ გამოთქმებში და იმ ხალხურ დიალექტებში, რომელთათვისაც მართლაც ძნელია შესაბამისი ეკვივალენტის გამონახვა ისე, რომ არ დაუკარგო ნაწარმოებს რუსული ეროვნული კოლორიტი და არ მიანიჭო ახალი, ნაწარმოებისათვის უცხო ფორმა და მასთან ერთად, თუ გნებავთ, შინაარსიც.

მთარგმნელის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით ისმება საკითხი — როგორ მოექცეს რუსულ მდაბიურ, ხალხურ, ვოლგისპირულ, თუ ენგისპირულ დიალექტს, თარგმნოს იგი ლიტერატურული ქართულით, თუ იმ დიალექტებს შეუხამოს თარგმანის ენის რომელიმე კუთხური კილო და დიალექტი?

ამ საკითხის გადაჭრა მეტად რთულია თეორიულად და კიდევ უფრო ძნელია მისი პრაქტიკული გადაწყვეტა; მაგრამ, ჩვენი აზრით, როგორი რთულიც არ უნდა იყოს ეს, უმჯობესია თარგმანის მეორე გზა, მეორე, თუ შეიძლება ითქვას, მეთოდი. ეს უფრო მისაღები და უფრო დამაჯერებელი იქნება მკითხველისათვის.

ამ წერილში მიზნად არ ვისახავთ ჩვენი მოსაზრებების თეორიულ დასაბუთებას, მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ ეს მეორე გზა, რომელსაც „რუსული ტყის“ ქართულად მთარგმნელი გ. კარბელაშვილი დასდგომია, ᲫᲘᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ და შედეგიც სავსებით დამაჯერებელი და მისასალმებელია.

ჩვენ აქ არ მოვიყვანთ ციტატებს იმის დასადასტურებლად, რომ მთარგმნელი მართლაც კარგად გადმოგვცემს ლეონოვის ურთულეს კონსტრუქციებს. ამას საგაზეთო წერილის ფარგლები ვერ დაიტევს. ლეონოვის რთული ენით დაწერილი ორმოცდაათფორმიანი ეს რომანი საერთოდ კარგად არის გადმოქართულებული მწერლის სტილის თავისებურებათა დაცვის თვალსაზრისით. რასაკვირველია, შეხვდებით ისეთ ადგილებსაც, რომლებიც რამდენიმედ გადამშავების შემდეგ შეიძლებოდა კიდევ უკეთესად დახვეწილიყო. მაგრამ ახლა ამ წვრილმანებზე ლაპარაკი არა ღირს.

ლ. ლეონოვის რომანის ქართული თარგმანის რედაქტორია ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე ნ. აგიაშვილი. მე არ ვიცი, რა შრომა გასწია რედაქტორმა, მაგრამ ერთი ცხადია — მთარგმნელსაც და რედაქტორსაც მკითხველისაგან მადლობის მეტი არაფერი ეთქმით.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

სურათზე: „რუსული ტყის“ ავტორი ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘ.

ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ

თბილისის № 1 საშკერვალო ფაბრიკის მეორე საამქროს მოწინავე კომკავშირელი მკერავი გ. ჭალიძე.

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. სანატორიუმი „ლიკანი“.

ფოტო მ. იაშვილისა.

ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲗᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲘᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲗᲑᲔᲒᲐ ᲒᲘᲜᲔᲒᲘ?!

ᲐᲮᲐᲚᲘ დარკვეთის მაღაროს მუშათა საცხოვრებელი ბინები აგერ ერთი წელია დამთავრდა. ახალი ბინები რომ მიგიღეთ, ბუნებრივია, გაგვეხარდა, მაგრამ მალე სინანულიც ვიგრძენით.

იატაკი და კარ-ფანჯრები უხეიროდ რომ არის გაკეთებული, ეს ჭიათურაში ახალი ამბავი როდია. უფრო მოუწესრიგებელია ცენტრალური გათბობის სისტემა. უკეთ ზამთარია, და ბინები არ თბება. გადავწყვიტეთ დროებითი ღუმელები მაინც დაგვედგა, მაგრამ საკვამლე მილებმა კვამლი არ გაუშვეს.

ასეთ მდგომარეობაში მარტო ჩვენ როდი ვართ. ბევრი ახალი ბინა არ თბება. ამაზე ბევრიც თქმულა და ბევრიც დაწერილა, მაგრამ ამაოდ.

Ვ. ᲭᲐᲨᲐᲫᲔ, კ. ᲙᲘᲚᲐᲠᲔᲚᲘ, Მ. ᲒᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲒᲣᲠᲐᲣᲚᲘ.

მობინადრეები.

ᲒᲘᲐᲗᲣᲠᲐ.

ᲒᲖᲐᲡ ᲕᲐᲛᲒᲝᲖ, ᲗᲝᲠᲔᲛ...

ᲝᲠᲒᲝᲚᲘ და ჩხუტელი ცაგერის რაიონის დიდი სოფლებია. წლების მანძილზე მათ ურთიერთთან აკავშირებდა კარგი სასოფლო გზა, ლაჯანურ-ჰესის მშენებლობის პროცესში ეს გზა მოისპო და განადგურდა.

კოლმეურნე გლეხების მოთხოვნით ენერგეტიკოსებმა პირობა დადეს, რომ ამ ორ სოფელს შორის გაიყვანდნენ გზას. სამი წლის წინათ გზის მშენებლობა კიდევაც დაიწყო, ხოლო დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

Ი. ᲑᲐᲯᲣᲠᲐᲫᲔ, Ვ. ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ

„ᲙᲐᲡᲠᲘᲡ“ წყალი“. ეს ალვნელ მეცხოველეთა დაბაა. სკოლა, კლუბი, მაღაზიები, სასადილო, ბევრი რამ ემსახურება მეურნეობის კოლექტივს. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ ყველა ერთნაირად გულისხმიერად როდი ზრუნავს მეცხოველეთა და მემანდვრეთა საყოფაცხოვრებო პირობებისათვის. „კასრის წყალზე“ ხუთასწოლიანი საავადმყოფო მუშაობდა. ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა — „ზამთრობით არ იტვირთებაო“, და საავადმყოფო დახურეს.

„დაუტვირთობის“ მიზეზით შეწყდა აქ ავტობუსის მიმოსვლაც.

Ვ. ᲑᲔᲥᲗᲣᲠᲘᲫᲔ, Ვ. ᲛᲐᲠᲬᲘᲜᲐᲘᲫᲔ,

ალვნის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადების ბრიგადირები.

ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲗᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲘᲕᲘᲚᲘ

ᲘᲕᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲨᲘ უამრავი ცხვრის ფარები იზამთრებენ. ზოგან დიდი ხანია, რაც „მოსავლის აღება“ — დოლი გაჩაღდა. მწყემსები დღედაღამ საკოლმეურნეო დოვლათს მზრუნველობენ, ცხვარ-ბატკანს ზიანი არ მოსდის.

ეს კარგია, მაგრამ გამრჯე ხალხს დახმარება სჭირდება. ცნობილია, რომ ზამთრის საძოვრებზე ელექტროსინათლე არ არის. ბინებში ფარნებია საჭირო. თუ არა სინათლე, ფარეხებში ცხვარ-ბატკნის მოვლა შეუძლებელია, მწყემსების ბინებშიც არ შეიძლება უფარნოდ ყოფნა, მაგრამ სად არის? წითელწყაროო, სიღნაღი, ბურჯაანი. სად არ წავიდნენ მწყემსები, მაგრამ ერთი ფარანიც ვერ იშოვნეს. რა გაუჭირდა ჩვენს მრეწველობას ისეთი, რომ ეს მარტივი ნივთი ვერ დაამზადეს?

სხვაც ბევრი გვაქვს სათქმელი. ცეკავშირმა მეცხვარეთა მომსახურებისათვის თელავის რაიკოოპკავშირს ავტოდუქანი გამოუყო. გვეგონა, რომ იგი კარგად მოგვემსახურებოდა, მაგრამ ამაოდ. ავტოდუქანი თვეში ერთხელ თუ გამოჩნდება ჩვენთან. როცა მოდის, მაშინაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. არ მოაქვს იაფფასიანი და მოხერხებული შარვალ-ხალათი, საწვიმრები, წინსაფრები...

კარგი იქნებოდა, თუ თელავის რაიკოოპკავშირის მესვეურები ერთხელ მაინც „გამოისეირნებდნენ“ ივრისპირეთში და გაიგებდნენ ჩვენს გულისტკივილს.

Ი. ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ ფერმის გამგე.

ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲕᲣ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ Ვ. ᲒᲝᲒᲣᲐᲫᲘᲡ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) ᲓᲐ Შ. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲡ (ᲡᲝᲩᲣᲛᲘ)

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან. „გლობალ“ ნიშნავს ერთად აღებულს, საერთოს, მთლიანს, ტოტალურს.

აქედან გლობალური პოლიტიკა, გლობალური სტრატეგია, გლობალური ომი გულისხმობს მთელი დედამიწის სფეროს. ერთად აღებულს. დღეს ეს ტერმინები ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოღვაწეებსა და თეორეტიკოსებს შორის გაისმის, იმათ შორის, ვინც ოცნებობს მსოფლიო ბატონობაზე.

მსოფლიო ბატონობაზე ფიქრი დიდი ხანია წარმოადგენს მთავარ მიზანს ამერიკის იმპერიალიზმისათვის. ვაშინგტონის მმართველი წრეების ასეთი მისწრაფება განსაკუთრებით გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. უოლ-სტრიტის მაგნატების გლობალური პოლიტიკა ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ ექსპანსიას და ახალი მსოფლიო ომის მომზადებას, რასაც, მათი აზრით, უნდა მოჰყვეს ამერიკის მსოფლიო ბატონობ

... ამბები

მეგობრები უკრაინიდან

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ შემოქმედის კოლმეურნეთა შრომითს წარმატებებში თვალსაჩინო როლს ასრულებს ის საქმიანი მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დამყარებული აქვთ უკრაინაში, გენიჩესკელ სოფლის მშრომელებთან.

ეს მეგობრობა საუკეთესო ტრადიციად იქცა.

ამ დღეებში სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას ეწვია უკრაინის სსრ გენიჩესკის საწარმოო სამმართველოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ პ. კონიუშენკო — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მ. ოჩერედკო — ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, გ. კირიჩენკო — კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, ზ. დოროფეევა — მწველავი;

უკრაინელი სტუმრები რამდენიმე დღეს დარჩნენ ქართველ მეგობრებთან, გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება, გაეცნენ კოლმეურნეობის ეკონომიკას, შეამოწმეს 1962 წლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შედეგები, გააფორმეს ახალი, 1963 წლის სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი — განსაზღვეს შეჯიბრება მომდინარე წლის უხვი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად.

ძვირფასი სტუმრები გულთბილად გააცილეს შემოქმედელმა კოლმეურნეებმა.

ᲓᲘᲐᲜᲓᲐᲒᲘ ᲯᲕᲐᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲡ

ზუგდიდი, (საკ. კორ.). ზუგდიდიდან სოხუმს მიმავალი მგზავრი სანამ ქ. ზუგდიდს გასცილდებოდეს, გადაიკვეთ ახალდაგებულ რკინიგზის ლიანდაგს, რომელიც გზატკეცილს ვერტიკალურად ჭრის. მალე აქ შლაგბაუმი გაიმართება იმისათვის, რომ ავტომანქანებმა გზა დაუთმონ ჯვარისკენ მიმავალ მატარებელს.

ახლა გაცხოველებით მიმდინარეობს ზუგდიდ-ჯვარის რკინიგზის მშენებლობა, რაც გასულ წელს დაიწყო. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის მშენებლებს ლიანდაგი დაგებული ჰქონდათ 3,5 კილომეტრზე. 10 კილომეტრზე მომზადებულია მიწის ვაკისი, ხოლო ხელოვნური ნაგებობები გაკეთებულია სოფელ ლიამდე.

რკინიგზის საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია 1964 წლისათვის, რის შემდეგ მატარებლის შემადგენლობები უწყვეტ ნაკადად მოაწვდიან ენგურჰესის მშენებლობას რკინაბეტონს, ხე-ტყეს და სხვა საშენ მასალას.

* * *

სურათზე: ზუგდიდის სადგურიდან რამდენიმე კილომეტრზე უკვე დაგებულია ლიანდაგი და ამით შესაძლებელი გახდა ენგურჰესის მშენებლობისთვის ზოგიერთი მოწყობილობის სარკინიგზო ტრანსპორტით მიწოდება.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.



მოკლედ

რუსთავი. (საკ. კორ.). მტკვრის მარჯვენა ნაპირის დასახლებაში, სადაც ძირითადად მიმდინარეობს ინდუსტრიული ქალაქის მშენებლობა, გაიხსნა საბავშვო ბაგა-ბაღი. პირველი იანვრიდან აქ 160 ბავშვია მიღებული.

ახალი ბაგა-ბაღი რიგით მეხუთეა ამ დასახლებაში.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ქალაქში საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბდა ტურისტული კლუბი. კლუბის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის სპორტის ოსტატი გ. ყალაბეგიშვილი.

ტურისტული კლუბი მომსახურებას გაუწევს ტურიზმით დაინტერესებულ ყველა პირსა და ორგანიზაციას.

ფოთი. ამ დღეებში ფოთო და ნოდარ კორტავების ოჯახმა დიდი სიხარული განიცადა. ოჯახის დედაც შეეძინა სამი ბავშვი — ორი ვაჟი და ერთი ქალი.

დედა და შვილები ჯანსაღად გრძნობენ თავს და უკვე გაეწერნენ სამშობიარო სახლიდან. ახლა კორტავებს ხუთი შვილი ყავთ.

დედა ფოთის წისქვილკომბინატის მოწინავე მუშაა, ხოლო მამა ნოდარი — მშენებელი.

ბ. კომპახიძე.

ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

გ ე უ ბ ნ ე ბ ი თ: ქალებს კარგად არ შეუძლიათ ჭადრაკის თამაში! — გაცხარებით წამოიძახა ახალგაზრდამ. — არა, მათ, რა თქმა უნდა, შეუძლიათ დაიზეპირონ ყველა სადებიუტო ვარიანტი. იცოდნენ უმარტივესი ენდშპილები. მაგრამ მიტელშპილის დამოუკიდებლად თამაში! კომბინირება! ამას ისინი ვერასოდეს ვერ აითვისებენ!

ყველამ მდუმარედ გავიღიმეთ: რას იტყვი ასეთ გადაჭრითს დასკვნაზე. ზოგმა ეჭვით თავი გაიქნია. ერთ ქალს აშკარად უნდოდა ისეთი რამე ეთქვა ახალგაზრდისთვის, რომ გული მოეფხანა, მაგრამ საკმაოდ მტკიცე საბუთებს ვერ პოულობდა და ტოკავდა. განსაკუთრებული კამათის გუნებაზე არ ვიყავით. ჩვენ დასასვენებელ სახლში ვიმყოფებოდით და კარგი საღილის შემდეგ ვისვენებდით.

— საძაგლობაა ასე ლაპარაკი! — გაბედა, ბოლოს, ერთმა ქალმა. — ძველი ცრურწმენებია! ხედავთ, ქალებმა ჭადრაკის თამაში არ იციან. აბა სიიდან არიან მსოფლიოს ჩემპიონი ქალები, ჭადრაკის ოსტატი ქალები? ყოველ შემთხვევაში თქვენ მოგიგებენ! — და გაიშვირა მან ხელი ახალგაზრდისაკენ.

— სცადონ ერთი. თქვენ კი ტყუილად ღელავთ, — უკვე შედარებით მშვიდად მიმართა მან თანამოსაუბრე ქალს. — არავინ არ უარყოფს, რომ ქალებმა იციან ჭადრაკის თამაში, მაგრამ მამაკაცებზე უფრო სუსტად. ოსტატები! მაგრამ ისინი მხოლოდ ქალთა შორის არიან ოსტატები. აბა ერთი სინჯონ თამაში მამაკაცთა ტურნირში. უკანასკნელ ადგილს დაიკავებენ.

— ვერა მენჩიკი! — წამოიძახა ქალმა. — იგი თანაბარ პირობებში იბრძოდა მსოფლიოს უძლიერესი გროსმაისტერების წინააღმდეგ. ნონა გაფრინდაშვილი! დიდ მამაცობას ვერ იჩენენ ხოლმე ქართველი მამაკაცები, როცა მას ტურნირებში ხვდებიან.

კამათი ერთი წუთით მიყუჩდა, შემდეგ დუმილი უეცრად დაარღვია დარბაისელმა მამაკაცმა, რომელსაც რქის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. მან მშვიდი ხმით წარმოთქვა:

—ეფიქრობ, აქ საკამათო არაფერია: ორივე მართალი ხართ. ქალები კარგად თამაშობენ ჭადრაკს, მაგრამ მაინც ისე ძლიერები ვერ არიან, როგორც მამაკაცები. ჩვენ ხომ არა გვყავს ისეთი ქალები, როგორიც არიან ბოტვინიკი, პეტროსიანი. მე თვითონ ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, რატომ? მაგალითად, სპორტში ყველაფერი გასაგებია: თუ ქალები 30 სანტიმეტრით ნაკლებ სიმაღლეზე ხტებიან, ვიდრე მამაკაცები, ან უფრო ნელი არიან რბენაში, ეს უბრალოდ ფიზიოლოგიაა. ქალის ორგანიზმი მამაკაცის ორგანიზმზე სუსტია. მაგრამ ჭადრაკი ხომ გონებათა ბრძოლაა. გონებრივი მოღვაწეობის ყოველ სხვა დარგში ქალები არ ჩამორჩებიან მამაკაცებს, ზოგჯერ წინაც უსწრებენ მათ. მაშ რატომ უნდა ჩამორჩებოდნენ მათ ჭადრაკში?

— მე გეტყვით, რატომ, — კვლავ აპილპილდა ახალგაზრდა. — ჭადრაკი მარტო გონებათა ბრძოლა როდია, ეს ხასიათების, ნებისყოფის ბრძოლაა. ჭადრაკი მოითხოვს შემართებას, სიმტკიცესა და რისკს, ენერგიას, ზოგჯერ განუსჯელ გაბედულებასაც. ყველაზე ძლიერ ქალებსაც კი ასეთი თვისებები მამაკაცებზე ნაკლები აქვთ.

— შეიძლება რამდენიმე სიტყვა ვთქვა? — ისარგებლა ჩამოვარდნილი სიჩუმით შუახნის ქალმა. — მე თვითონ პიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ვარ და ეს თემა ჩემთვის მახლობელია ჩემი აპეციალობის გამო. მე ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, რით განსხვავდები მამაკაცისაგან მეცნიერულ მუშაობაში. და, დაე მომიტევონ ქალებმა, არის განსხვავება და მეტად არსებითიც. ჩვენ, ქალებს, შეგვიძლია შევასრულოთ უაღრესად ძნელი კვლევითი მუშაობა, გავაკეთოთ ბრწყინვალე ანალიზი, მაგრამ როცა საჭიროა შედეგების შეჯამება, დასკვნების ფორმულირება, ვაყოვნებთ, გაუბედავად ვეძლევით ფიქრს, ქალი უფრო მეტად მერყეობს, ეჭვდება, ვიდრე მამაკაცი, და ეს მას ზოგჯერ ვნებს.

— აი სწორედ ამას, მოგახსენებდით! — წამოიძახა ახალგაზრდამ, მაგრამ უეცრად გაჩუმდა, მიხვდა, რომ სულაც არ ამბობდა ამას.

— ამას წინათ ჩემს თანამშრომლებთან ერთად უდიდესი მუშაობა გავწიე. ძნელი, დიდმნიშვნელოვანი ცდების დიდი სერია ჩავატარე. — განაგრძო ბიოლოგიის დოქტორმა. — ყველაფერმა კარგად ჩაიარა, საჭირო იყო მხოლოდ ცდების შეჯამება, საერთო დასკვნების გაკეთება. მაგრამ მე ვაყოვნებდი. საკითხს ასეც ვუდგებოდი, ისეც, ვეძებდი უკეთეს „თვალსაზრისს". როგორი იყო ჩემი გაკვირვება, როცა ჟურნალის უახლოეს ნომერში წავიკითხე ყველა დასკვნა, რომლებზეც ასე დიდხანს ვფიქრობდი.

რას იზამ! შესაძლოა მოჭადრაკე ქალებსაც ბევრ რამეს აკარგვინებს გაუბედაობა. მათ ხომ მოსაზრებისათვის თვეები კი არ ეძლევათ, არამედ წუთები.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი უნებლიეთ ფიქრობდნენ მეცნიერი ქალის სიტყვებზე. საუბარმა მოულოდნელად სულ სხვა მიმართულება მიიღო.

— სანტერესოდ გამგეიდის, ამხანაგებო, — თქვა ნაცრისფერ კოსტუმიანმა მამაკაცმა. — ყველანი ვმსჯელობთ ჭადრაკზე. თუმცა თამაში არ ვიცით. აი გროსმაისტერი კი დუმს. როგორია თქვენი აზრი, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძევ? — მომმართა მამაკაცმა. — იციან თუ არა ქალებმა ჭადრაკის თამაში.

როგორ ვეთამაშებოდი ქალებს ჭადრაკს

არ მოუტანია. ხან ვიგებდი პარტიას, ხან ვაგებდი.

— ერთ-ერთ კვირადღეს ჩემს წინ საჭადრაკო დაფას მოუჯდა ეშხიანი ქალიშვილი. იმ ხანებში მე ჯერ კიდევ არ ვაქცევდი ყურადღებას სხვა სქესის ამხანაგებს, მაგრამ მაინც გამაოცა მისმა გამჭრიახმა შავმა თვალებმა, რომლებიც მოკალმულ შავ წარბებს ქვემოდან ყურადღებით ხან მე მიყურებდნენ, ხან საჭადრაკო დაფას. რაღაც ადმოსავლური იერი ჰქონდა, თუმცა ვერაინ რუსი იყო. ნადევდა ბრალგინა — ჩავიწერე სატურნირო ბლანკზე მოწინააღმდეგის გვარი. ეს ტულელი გოგონა ცხნილი მოჭადრაკე გახდა, იგი ატარებდა შემდეგ ჯერ საფონოვას, მერე კი ბარდინას გვარს.

— თხელ ვარდისფერ თითებიანი პატარა ხელით გადაჰქონდა ქალიშვილს ფიგურები დაფაზე. მე აგრესიულად ვიყავი განწყობილი. რამდენიმე მამაკაცთან თამაში გამარჯვება მოვიპოვე და ქალიშვილთან პარტია საშიშად არ მიმიჩნდა. ჩემი პოზიცია ცენტრში მხედრით გავამაგრე, შემდეგ სწრაფად წავწიე წინ მეფის ფლანგის პაიკი. რა მოწინააღმდეგე მყავს-მეთქი, ვფიქრობდი. აბა განვაგრძო ირონში, ჯანლაე დავაშამთებ! მეგონა, ჩემს შეტევას ვერ მოიგერიებდა ბარდინა. მით უმეტეს, რომ იგი დაიბნა და მის გამომეტყველ თვალებში შიში ამოვიკითხე. ამან რწმენა განმიმტკიცა და მე ირონშიში ჩავაბი ჩემი განაპირა პაიკი. სიამაყით დავყურებდი ცენტრში ჩემს მხედარს, რომელიც გამარჯვების სიმბოლოდ იყო აღმართული.

— მაგრამ უეცრად შევნიშნე, როგორ ქვეშქვეშად დამიწყო ცქერა ნადეჟდამ. მისმა ამ შემოხედვამ როგორღაც შემაშფოთა. ერთბაშად მან თავისი პატარა თითებით აიყვანა ჩემი ცენტრალური მხედარი — მთელი ჩემი პოზიციის მშვენება და სიამაყე პირველ მომენტში ვერაფერი ვერ გავიგე. შაეები მხედარში ეტლს მითმობდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, მსხვერპლი სწორი იყო. ჩემი პაიკები ზედიზედ იქნებოდა აყვანილი. მოწინააღმდეგის ლაზერი შემოიჭრებოდა ჩემს მეფის ფლანგში და შურს იძიებდა ჩემი თავდაჯერებულობისათვის. ცივმა ოფლმა დამასხა. შეშინებულმა თავზე წავავლე ხელები და გარშემო ვერაფერს ვხედავდი. ჩემთვის ამ მძიმე მომენტში კი მზაკვრულად მიყურებდნენ მოკუტული შავი თვალები.

— მეკითხებით, რით დამთავრდა საქმე? ჩანს, ღმერთებმა გადაწყვიტეს ჩემი დაცვა ქალებისაგან. თუნდაც ჭადრაკში. ჩემი მოწინააღმდეგე მალე ცაიტნოტში მოხვდა. დაბნეულად წარმართა ირონი. ბოლოს, წაადო, შინ კმაყოფილი დავბრუნდი. მაგრამ მთელ ღამეს კოშმარი მაწუხებდა: სიზმარში ვხედავდი, რომ გრძელფაფრიანი თეთრი ცხენი ვიყავი, ხოლო ვარდისფერი თითები კვარცხლბეკიდან მიყვანდნენ.

ჩემი მსმენელები იღიმებოდნენ. რაკი შეეატყე, რომ ჩემმა ნაამბობმა დაინტერესა ისინი, განვაგრძე:

— ოც წელიწადს ბედი მწყალობდა, აღარ შეეხვედრივარ ქალებს საჭადრაკო დაფასთან. მაგრამ 1947 წელს კვლავ მოიხდა ქალთან შებმა. ამჯერად ჩემი მოწინააღმდეგე იყო ჭადრაკის ვირტუოზი, შემდეგში მსოფლიოს ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა. მოსკოვის ტელეფონის ნახევარფინალში იგი ჩემს ოთხ ადგილზე თერმობამდე. მე ეს ამბავი ... ელი გროსმაისტერი ვიყავი და ... ...